საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 1933 2018 წლის 19 ოქტომბერი ქ. თბილისი

სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფუძნების, სამეთვალყურეო საბჭოს განსაზღვრისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ოქტომბრის №558 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა (შემდგომში – ფონდი) უზრუნველყოს ქ. მცხეთის სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის დოკუმენტაციის შემუშავებისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება ფონდმა 2018 წელს უზრუნველყოს „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, მისთვის დამტკიცებული ქვეპროგრამით („საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტები“) (პროგრამული კოდი: 25 03 01) განსაზღვრული ასიგნებებიდან.

3. დაევალოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საჭიროების შემთხვევაში, ფონდის წინადადებების საფუძველზე, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო დამატებითი ფინანსური რესურსის მოძიება და ფონდისთვის გამოყოფა.

4. საქართველოს ფინანსთა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებმა საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადების დროს, ფონდის წინადადების საფუძველზე, გაითვალისწინონ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული, 2019 წელში განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო თანხები.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**